ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

მისამართი ქ.გორი, სტალინის გამზ. N16, ს/კ 418471022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4435

2020 წლის 20 მარტი

ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ყველა აღსაზრდელისათვის საკვები პროდუქტების გაცემის მიზნით საჭირო კვების პროდუქტების რაოდენობების და სახეობების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ყველა აღსაზრდელისათვის საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით განისაზღვროს კვების პროდუქტების სახეობები და რაოდენობები.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კვების პროდუქტების სახეობებისა და რაოდენობების განსაზღვრა დაევალოს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს კვების მთავარ სპეციალისტს – მიხეილ დალაქიშვილს.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში - სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. N30).

სააგენტოს მენეჯერი **ლიანა კოვზიაშვილი**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო * N(N)LE PRESCHOOL EDUCATION AGENCY OF GORI MUNICIPALITY * 418471022